პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთის 41-ე წელი № 3 (11917) | ოთხშაბათი, 4 იანვარი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლედის მესამე წელი

ეკონომიკა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘᲐ

ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ



ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲔᲬᲕᲘᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲕᲘᲛᲐ ᲡᲣᲛᲐᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ

ᲙᲣᲒᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲮᲘ ᲛᲘᲢᲕᲐᲡᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ

ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲢᲝᲛᲘ

ᲛᲔᲡᲘᲯᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲝᲜᲐᲗᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘᲐ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲜᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1965 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲛᲔᲡᲘᲯᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲠᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲔᲬᲕᲘᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲙᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲪᲔᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘᲐ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲜᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1965 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘ

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲠᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ღირსეული შეხვედრა პლენუმს!

საერთო წარმატებების მ ი ღ მ ა...

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

შემოდგომის ხელსაყრელმა ამინდებმა საშუალება მისცა სტალინირის რაიონის მშრომელებს ორგანიზებულად აეღოთ ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის მოსავალი, დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაეტარებინათ სამშემოდგომო თესვა.

საერთოდ რაიონი ცუდი მაჩვენებლებით როდი წარდგა რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ხაბალაშვილმა კონფერენციას გადაუშალა რაიონის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის სურათი.

— 1960 წელს რაიონს, — თქვა მან, — წინა წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგში — მეხილეობაში. გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 75,5 ცენტნერი ხილი. უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა. სოფელ ღმენისის კოლმეურნეობამ 90 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 64 ცენტნერი ვაშლი.

ხილის კარგი მოსავალი მოიყვანეს სოფლების ქსუისის, კეხვის, ვანათის, ინაბეთის, რუსთავის კოლმეურნეობებმა. ყოველივე ამის შედეგად სტალინირის რაიონმა ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გაღლებულება 132,8 პროცენტით გადაჭარბდა.

— თუ რაიონმა მეხილეობაში ნაკისრი ვალდებულება, — აღნიშნა თავის გამოსვლაში სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსმა ამხ. ა. მკრტჩიანმა, — პირნათლად გადაჭიდა, ეს არ ითქმის მეგვინახეობაზე. ვერც ერთმა კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალება.

— მევენახეობაში ჩამორჩენა, — ამბობდნენ მოკამათენი, — იმით არის გამოწვეული, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ვენახების მოვლას, განსაკუთრებით კი საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების ჩატარებას. ნელი ტემპით იზრდება ვენახების ფართობი.

დელეგატებმა ყურადღებით მოისმინეს სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ქრისტესიანიშვილის გამოსვლა. მან ილაპარაკა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხებზე.

— ჩვენთან, — განაცხადა მან, — მეცხოველეობის სულადობის მატება უსწრებს საკვები ბაზის ზრდას. ასეთი მდგომარეობა დიდი სიძნელეების წინაშე გვაყენებს. საჭიროა დროულად განისაზღვროს ამა თუ იმ კოლმეურნეობის ძირითადი პროფილი და ამის მიხედვით დაიგეგმოს წარმოება.

სტალინირის რაიონი მეცხოველეობის დარგში მოწინავედ ითვლება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. კოლმეურნეობებმა, თამარაშნის საბჭოთა მეურნეობამ და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა წელს ორჯერ გადიდეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა. განსაკუთრებით იმატა ღორის ხორცის წარმოებამ, კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვასთან ერთად კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს პირუტყვის სულადობის განვითარების დავალება მის ყველა ძირითად სახეში.

მაგრამ ამასთან ერთად არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ხორცის წარმოებასა და წველადობაში. პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმებს ვერ ასრულებენ სოფლების ხნეკვის, ხელჩუის, ბიყარის, ბენდერის, ვილდისა და სხვა კოლმეურნეობები. სამწუხაროდ, ესენი სწორედ ის კოლმეურნეობებია, რომლებსაც მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის საუკეთესო პირობები აქვთ, ამიტომ დელეგატები სამართლიანად აკრიტიკებდნენ მთის კოლმეურნეობებს, სადაც მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია, მაგრამ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ამ დარგის აღმავლობისათვის.

მკვეთრ სხვაობას ვხედავთ წველადობის მაჩვენებლებშიც. სტალინირის რაონში იგი პირველი დეკემბრისათვის თვითეულ საფუძაძე ძროხაზე 57 ლიტრით გაზარდა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. რძის რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობს სოფლების ბენდერის, ვილდისა და სხვა კოლმეურნეობებში. მაგრამ მოწინავე კოლმეურნეობათა გვერდით ვხედავთ ისეთ სასოფლო-სამეურნეო არტელებს, რომლებიც წველადობაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. სოფლების ბენდერის, ქედრნეთის, სნეკვისა და დამბალეთის კოლმეურნეობებს 11 თვის მანძილზე თვითეულ საფუძაძე ძროხაზე მხოლოდ 500-700 ლიტრი რძე აქვთ მიღებული. მათ გასულ წელთან შედარებით 150-235 ლიტრით შეამცირეს წველადობა.

მემცენარეობასა და მეცხოველეობაში მოპოვებული წარმატებანი იმის შედეგია, რომ მასებში ამაღლდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. პირველადი პარტიული ორგანიზაციები კარგად უხამებენ პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობას, ახორციელებენ პარტიის წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას.

თამარაშნის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი კ. გაბარაევი კონფერენციაზე აღნიშნავდა, პარტიის რაიკომის ლექტორთა და მომხსენებელთა ჯგუფი ნაყოფიერად მუშაობსო, მან მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ უწყობს ხელს საბჭოთა მეურნეობის მუშაობას ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლა მშრომელთა წინაშე.

პოლიტიკური მუშაობის დიდ გაღლენას შეიგრძნობ სტალინირის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მამისაშვილი. იგი დაწვრილებით შეჩერდა სასოფლო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაზე, სოფლად კულტურის კერების საქმიანობაზე.

მოკამათეთა გამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო საკოლმეურნეო წესდების დამტკიცებისა და ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებს. აღინიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება დამტკიცებულ, მაგრამ მასი განხორციელება ფერხდება, რის გამო ამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, კერძომესაკუთრულ ტენდენციას და საერთო საქმისათვის თავის არიდების შემთხვევებს.

• • •

შედგა ახალარჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა პარტიის სტალინირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ხაბალაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. დ. მაისურაძე, მდივნად—ამხ. პ. ჯოფეი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნაყოფიერად

ამოშავეს ადგენის რაიონის მშრომელებმა. 1959 წელთან შედარებით 1960 წელს საგრძნობლად აამაღლეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაზარდეს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა, პირნათლად გაანაღდეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ყველა ვალდებულება. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

მეძროხეობასაც რაიონის ეკონომიკის ზრდაში მცირე როლი როდი მიუძღვის. საკმარისია ითქვას, რომ ბევრ კოლმეურნეობაში კომბოსტოს მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 400-500 ცენტნერს აღწევს.

კარგი პერსპექტივებია მეხილეობის განვითარებისათვის. ბევრი კოლმეურნეობა გონივრულად იყენებს ამ საკითხს. რაიონის კოლმეურნეობებში მატრ მეხილეობიდან მიღებული შემოსავალი მილიონნახევარ მანეთს შეადგენს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაიზარდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

მომხსენებელმა, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. გრძელიშვილმა და დელეგატებმა გააკრიტიკეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები იმისათვის, რომ ისინი სათანადოდ არ ეხმარებიან რაიონს მებაღეობისათვის საჭირო იარაღ-მანქანების, შხამქიმიკატებისა და სანერგე მასალის მიწოდების საქმეში.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო იდეოლოგიური მუშაობის, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჟრობის, სენებელთა ჯგუფი ნაყოფიერად მუშაობსო, მან მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ უწყობს ხელს საბჭოთა მეურნეობის მუშაობას ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლა მშრომელთა წინაშე.

პოლიტიკური მუშაობის დიდ გაღლენას შეიგრძნობ სტალინირის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მამისაშვილი. იგი დაწვრილებით შეჩერდა სასოფლო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაზე, სოფლად კულტურის კერების საქმიანობაზე.

მოკამათეთა გამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო საკოლმეურნეო წესდების დამტკიცებისა და ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებს. აღინიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება დამტკიცებულ, მაგრამ მასი განხორციელება ფერხდება, რის გამო ამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, კერძომესაკუთრულ ტენდენციას და საერთო საქმისათვის თავის არიდების შემთხვევებს.

• • •

შედგა ახალარჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა პარტიის სტალინირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ბ. ბაბალაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ბ. ჯაფარიძე, მდივნად—ამხ. ბ. ჯოფეი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დ ე ლ ე გ ა ტ თ ა გ უ ლ ა ხ დ ი ლ ი. საუბარი

ბ ა ბ ა ი ა ნ ი. ...ბოლოს ეკონომიკურ საკითხებზე. ...ეროვნული ეკონომიკა. ...ეროვნული ეკონომიკა. ...ეროვნული ეკონომიკა.

ერთსულოვანი მოწონება

8 იანვარს გაიმართა საქართველოს კპ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგებს.

აქტივის კრება გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. კვარაცხელიამ.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

1960 წლის ნოემბერში მოსკოვში გამართულ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნ. ჯიბლაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ა. ოჩიგავამ (ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანი), ა. პოტეხინმა (მეზღვაური), ა. მოწერელიამ (ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის კოლხიდის ფილიალის დირექტორი), გ. კუბალეიშვილმა (კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი), ს. გვასალიამ (ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი), გ. დარჯანიამ (პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი).

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც საკანონმდებლო ინფორმაციებს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგებს და გამოთქვამს მზადყოფნას — მთელი ენერგია მოახმარონ შვიდწლედის განხორციელების საქმეს.

კ. კომახიძე.



შვიდწლედის კალეიდოსკოპი

ლ ი თ ო ნ თ ა ნ შ ე ჭ ი დ ე ბ უ ლ ი

შვიდწლედის გმირები — ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვას.

ზოგს შეიძლება ეგონოს, რომ ისინი რაღაც განსაკუთრებული ადამიანები არიან. მაგრამ ასე როდია. შვიდწლედის გმირები ჩვეულებრივი რიგითი ადამიანები არიან. ისინი შახტებისა და მაღაროების სანგრევებში, ჩარხებთან და საქსოვ მანქანებთან, მშენებლობებზე და საკოლმეურნეო მინდვრებზე ყოველდღე, ყოველ საათობით გვიჩვენებენ შრომითი გმირობის მაგალითებს, თავიანთი გამარჯვებ მარჯვენით ხორცს ასხამენ შვიდწლედის დიად გეგმებს.



გმირი ხარო, რომ უთხრათ გიორგი კიკნაძეს, გაეცინება, სად მე და სად გმირობაო.

მაგრამ თუ მის მუშაობას ადევნებთ თვალს, ნამდვილად გაიტაცებთ ის ცეცხლი და მონდომება, რომლითაც ახალგაზრდა ხარატი ასრულებს ყოველ საქმეს.

თბილისის ავტომშემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქროს სწორედ შუაგულში დგას გიორგი კიკნაძის სახარატო ჩარხი. ერთი შეხედვით ეს მაღალ-მაღალი, თმახუჭუჭა ჭაბუკი თითქოს ზანტად მუშაობს. მაგრამ მისი ყოველი მოძრაობა საათის სიზუსტით არის გამოანგარიშებული. ამიტომ არის რომ ხარატს იშვიათად მოსდის შეცდომა, მისი ჩარხის გვერდით ყოველ წუთს იზრდება ახალდამუშავებული მოლაპლაპე დეტალების პირამიდა.

რთული და მძიმე სამუშაო აქვთ თბილისელ ავტომშემკეთებლებს. აქ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდის შესაკეთებელი მანქანები. შეკეთებამდე თუ ნახავთ, შეიძლება არც დაიჯეროთ, რომ ეს მანქანები როდისმე კვლავ შეძლებენ მოძრაობას. მაგრამ გაივლის ცოტა ხანი, და ქარხნის ალაყაფის კარიდან გამოდიან თითქმის ახალი მანქანები.

მართლაც გმირული შრომა სჭირდებათ ავტომშემკეთებლებს, რომ ეს მანქანები კვლავ დაბრუნონ მწყობრში. ყველაზე რთული ის არის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ და აღადგინონ უკვე გაცვეთილი ნაწილები და ამ გზით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

სწორედ ეს ყოველთვის ახსოვს გიორგი კიკნაძეს. იგი არასოდეს არ გადააგდებს ისეთ დეტალს, რომლის გამოყენება შეიძლება, თუნდაც ამისათვის დიდი ჯაფა და დრო დასჭირდეს. ხშირად ხარატის ნებისყოფის და ჯადოსნურ ხელებს კვლავ მწყობრში ჩაუყენებია ისეთი დეტალი, რომელიც თითქოს განწირული იყო ჯართისათვის.

რვა წელია აქ მუშაობს ახალგაზრდა ხარატი. ამ ხნის განმავლობაში სრულყოფილად დაეუფლა თავის ხელობას და სამართლიანად ითვლება ქარხანაში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად. ყოველ თვეში თვენახევრის გეგმა და ამავე დროს საუკეთესო ხარისხი — ასეთია მისი შრომითი მაჩვენებლები.

...შეუჩერებლად ეძებენ ახალ-ახალ რატო ხარხის ძირითადი. ...ეტალებს უპირავს მარჯანის სასელეური ...ერგი კიკნაძეს. კვლავ იზრდება დეტალების გროვა, იზრდება შვიდწლედის ბარაქა — დიადი გეგმების განხორციელების საწინდარი.

შვიდწლედის ზღუდეებზე იერიშში თავისი წვლილი შეაქვს ლითონთან შეჭიდებულ ახალგაზრდა ხარატს — გიორგი კიკნაძესაც.

შ. დავითური.

• • •

სურათზე: გ. კიკნაძე მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შენიშვნები ასამუშავებელი ობიექტიდან

კვლავ საფრთხის წ ი ნ ა შ ე

მიმდინარეობს მორიგი საწარმოო თათბირი. სიტყვას იღებს მილსაადიდო საამქროს უფროსი პ. ჩიტაიშვილი.

— აბა ნახეთ, პეტრემ თუ ისევ სახურავით არ დაიწყოს, — გაისმა დარბაზში.

და მართლაც პ. ჩიტაიშვილმა თავისი გამოსვლა სახურავით დაიწყო, განაცხადა, თუ კვლავ აღარ გვინდა დაირღვეს მშენებლობის გრაფიკი, მოდი ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრათ მთავარი კორპუსის გადახურვის საკითხიო. აქვე გამოირკვა, რომ სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს არ შეუძლია გადახურვის დამთავრება, ვიდრე სამრეწველო ვენტილაციის სამმართველო არ მორჩება მილების დაყენებას...

გასცდებით თუ არა მრძმედისა და მარტენის საამქროებს, თქვენს თვალწინ აღიმართება ვეებერთელა კორპუსი.

ეს გახლავთ მილსაადიდო საამქრო, რომელიც მწყობრში ჩაგიმის შემდეგ გამოუშვებს მეტად საჭირო და საინტერესო პროდუქციას — ცივად ნაგლინ და ცივად ადიდებულ მილებს, აგრეთვე რკინის ჯაჭვებს, როგორც დამზმარე პროდუქციას.

მილსაადიდო საამქროს მშენებლობის დამთავრება ჯერ კიდევ გასული წლის მეორე კვარტალში იყო გათვალისწინებული, მაგრამ ვერ მოხერხდა.

აი მეტალურგმშენის სამმართველომ მოიყვანა ხეტრალური გზის დანადგარების შენობის აგება და ადგილი დაუთმო „მეტალურგ პროკატმონტაჟის“ სამმართველოს, რომელმაც აქ მოწყობილობა უნდა დამონტაჟოს.

გაჩაღებულია შრომა 15-ტონიანი საადიდო დგახის დასამონტაჟებლად. წარმატებით მიმდინარეობს გასაზეთი აბაზინის მშენებლობაც. მაგრამ ყველა ობიექტსა თუ უბანზე როდი გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. იმის გამო, რომ ჭიანურდება ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა და მონტაჟი, იქმნება მილსაადიდო საამქროს ახალი გრაფიკით გათვალისწინებული ვადის ღირღვევის საფრთხე. ცუდი მდგომარეობაა შექმნილი 30-ტონიან დგანზე. მისი მონტაჟი ფერხდება იმის გამო, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწყობილობის და ტექნიკური განყოფილების მუშაკებმა დღემდე ვერ იშოვნეს ყველა საჭირო დეტალი.

მშენებლებმა ვერ გამონახეს საერთო ენა ხის გადამამუშავებელ კომბინატთან (დირექტორი გ. გაჩეჩილაძე). ამ უკანასკნელმა ვერ უზრუნველყო მშენებლები აბაზანების შესაფუთი ხის ფარებით. ამის გამო „კავსანტეხმონტაჟის“ სამმართველო (უფროსი ი. ხარაძე) აბაზანების მილგაყვანილობის მონტაჟს დიდი შეფერხებით აწარმოებს.

მშენებლები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ „მეტალურგ-პროკატმონტაჟის“ სამმართველოს (უფროსი ა. ქავორონოკოვი) მისამართით. მის მიერ დამზადებული ავზები უხარისხოა, რის გამო აზოტმეავა ორთქლდება და დიდი რაოდენობით იკარგება. სამმართველოს ჯერ კიდევ არ დაუწყია სანეიტრალიზაციო ობიექტების და ზეთის საწყობის სამონტაჟო სამუშაოები.

საამქროს ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების აშენება დავალებული აქვს „მონტაჟთმზაშრატის“ სამმართველოს უბანს, რომელსაც ვ. ტომკინი ხელმძღვანელობს. სამწუხაროდ, ეს კოლექტივი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. უბანში არ იგრძნობა ინტერესი საქმისადმი, არის შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები, დაბალია მუშათა კვალიფიკაციის დონე.

დიდი ჩამორჩენაა ელექტრომონტაჟის სამუშაოებშიც. „ელექტრომონტაჟის“ სამმართველოს სპეციალური უბანი, რომელსაც ტ. ივანოვი ხელმძღვანელობს, ზმირად არღვევს გრაფიკს.

მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს შესასრულებელი „პრომშენტლიაციის“ სამმართველოს (უფროსი მ. ჩიქოვანი).

საქმის ინტერესები მოითხოვს სასწრაფოდ იქნას გამოსწორებული მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი.

— ახალი წლიდან ახალი პროდუქციაა! — აი რა მიზანს უნდა ისახავდეს ახალ თვითეული მშენებელი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საჩხერე. (საკ. კორ.). შარშან დაამთავრეს სამუშაალო სკოლა მერკვეულმა ქალიშვილებმა დოდო დეკანოიძემ, მერი მუმლაძემ და ლეილა წიგნაძემ. მათ გადაწყვიტეს ემუშავათ მათსავე სოფელში შექმნილ საბჭოთა მეურნეობაში.

იმხანად მომვლელები უმირდათ მეცხოველეობის ფერმაში. გამრჯე ქალიშვილებიც სწორედ იქ წავიდნენ, სადაც საქმე მოითხოვდა. მათ მეღორეობის ფერმა ჩაიბარეს. შრომისმოყვარე ქალიშვილების ხელი მალე დაეტყო ფერმას. ამჟამად იგი ყველაზე აქაური პირობებში მოწინავეა რაიონში. აქ გეგმით გათვალისწინებული 130 ღორის ნაცვლად 135 ღორი მყავთ. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს გოჭების გაზრდა-შენახვაში, თვითეულ დედაღორზე უკვე მიიღეს 21 გოჭი. ეს დიდი მოწოდეა აქაური პირობებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ მოეწყოს მოსახლეობაში 1961 წლის ფულისა და ნივთების ლატარია.

1961 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის ოთხივე გამოშვების საერთო თანხა განისაზღვრება 2 მილიონ 700 ათასი მანეთის ოდენობით. მოგება შეადგენს გამოშვებული ლატარიის ბილეთების საერთო თანხის 50 პროცენტს. ბილეთის ღირებულებაა 30 კაპიკი.

მოსახლეობაში ლატარიის ბილეთების გაყიდვა იწარმოებს 1961 წლის 1 იანვრიდან ნებაყოფლობის პრინციპის მტკიცე დაცვით.

ლატარიის ბილეთები გაიყიდება ნაღდ ანგარიშზე შემნახველ სალაროებში, პარკებში, სტადიონებზე, თეატრებში, კინოთეატრებში, მაღაზიებში, კავშირგაბმულობის დაწესებულებებში, გაზეთის კიოსკებში, რკინიგზის მატარებლებში, ვაგზლებში და ნავმისადგომებზე.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა უშუალოდ მშრომელთა კოლექტივებში, ე. ი. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (ზემოთ აღნიშნულთა გამოკლებით) ნებადართული არ არის.

მოგებათა ტირაჟები 1961 წელს გაიმართება: პირველი გამოშვებისა — 20 მარტს ქ. გურჯაანში, მეორე გამოშვებისა — 20 ივნისს ქ. ჭიათურაში, მესამე გამოშვებისა — 20 სექტემბერს ქ. გორში, მეოთხე გამოშვებისა — 30 ნოემბერს ქ. თბილისში.

თითოეულ ტირაჟში გათამაშდება 180.000 მოგება, მათ შორის 2.685 ნივთის და 177.315 ფულადი მოგება 337.500 მანეთის საერთო თანხისა.

ნივთების მოგებაშია—ერთბინიანი სამოთახიანი სტანდარტული სახლი ცენტრალური გათბობით, ავტომანქანები „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“, საწოლი ოთახის გარნიტურები, პიანინოები, რადიოლები, მაცივრები, მაგნიტოფონები, ტელევიზორები და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი. გათამაშდება აგრეთვე ფულადი მოგებანი ერთი მანეთიდან 500 მანეთამდე.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ

პ ი რ ო ბ ე ბ ი საქართველოს სსრ 1961 წლის ფულისა და ნივთების ლატარიისა

1. ფულისა და ნივთების ლატარიის საერთო თანხა განსაზღვრულია 2.700.000 მანეთის ოდენობით. გამოშვებულია ამ თანხის 30 კაპიკიანი ბილეთები.

2. ლატარიის მოგებათა საერთო თანხა შეადგენს 1.350.000 მანეთს.

3. ლატარიის ბილეთები იყოფა ოთხ გამოშვებად, თითოეულ გამოშვებაზე მოეწყობა დამოუკიდებელი მოგებათა ტირაჟი.

4. ლატარიის ბილეთები გამოშვებულია სერიებად № 60001-დან № 96000-მდე. თითოეულ გამოშვებაში 9000 სერიის რაოდენობით; თითოეულ სერიაში არის 250 ბილეთი № 001-დან № 250-მდე.

5. ლატარიის მოგებათა ტირაჟები გაიმართება: 1961 წლის 20 მარტს — ქ. გურჯაანში, 20 ივნისს — ქ. ჭიათურაში, 20 სექტემბერს — ქ. გორში, 30 ნოემბერს — ქ. თბილისში.

თითოეულ ტირაჟში გათამაშდება 180.000 მოგება. მათ შორის 147.906 მან. თანხის 2685 ნივთის მოგება და 189.594 მანეთის თანხის 177.315 ფულადი მოგება.

ა) ნ ი ვ თ ე ბ ი ს მ ო გ ებ ა.

	ერთ გამოშვებაში			ოთხ გამოშვებაში	
საგნები	ერთი საგნის ღირებულება	რაოდენობა	საერთო ღირებულება	რაოდენობა	საერთო ღირებულება
1. ერთბინიანი სამოთახიანი სტანდარტული საცხოვრებელი სახლი ცენტრალური გათბობით, აიგება საქართველოს სსრ ფარგლებში მომგების მიერ ლატარიის ბილეთის წარმოდგენის შემდეგ სამი თვის განმავლობაში (ქალაქებში და საკურორტო ადგილებში სახლი აიგება სტანდარტული სახლების ასაგებად მიჩნეულ ადგილებში).	5.000	3	15.000	12	60.000
2. ავტომანქანა „ვოლგა“	4.000	4	16.000	16	64.000
3. ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2.500	10	25.000	40	100.000
4. საწოლი ოთახის გარნიტური	800	7	5.600	28	22.400
5. პიანინო	526—50	25	13.162—50	100	52.650
6. რადიოლა „ესტონია-2“	210	50	10.500	200	42.000
7. მაცივარი	200	50	10.000	200	40.000
8. მაგნიტოფონი „იაუზა“	180	50	9.000	200	36.000
9. ტელევიზორი „რეკორდი“	175	70	12.250	280	49.000
10. ფოტოაპარატი „კიევი-4“	160	30	4.800	120	19.200
11. მხატვრული და სხვა ლიტერატურის წიგნების ბიბლიოთეკა	111	6	666	24	2.664
12. საკერავი მანქანა ფეხისა	87—50	39	3.412—50	156	13.650
13. ქალის მაჯის საათი ოქროს კორპუსით	85	16	1.360	64	5.440
14. საკერავი მანქანა ხელისა	58—30	100	5.830	400	23.320
15. იატაკის ელექტროსაწმენდი	24	100	2.400	400	9.600
16. ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	19	100	1.900	400	7.600
17. ელექტროვენტილატორი	10—20	25	255	100	1.020
18. ხორცსაკეები	6	1.250	7.500	5.000	30.000
19. ელექტროუთო	4—36	750	3.270	3.000	13.080
სულ ნივთების მოგება:		2.685	147.906	10.740	591.624

ბ) ფ უ ლ ა დ ი მ ო გ ებ ა.

	ერთ გამოშვებაში			ოთხ გამოშვებაში	
	მოგებათა თანხა	რაოდენობა	საერთო თანხა	რაოდენობა	საერთო თანხა
	500	3	1.500	12	6.000
	300	5	1.500	20	6.000
	100	3	300	12	1.200
	50	10	500	40	2.000
	10	500	5.000	2.000	20.000
	5	1.000	5.000	4.000	20.000
	1	175.794	175.794	703.176	703.176
სულ ფულადი მოგება:		177.315	189.594	709.260	758.376
სულ ნივთებისა და ფულადი მოგებანი		180.000	337.500	720.000	1.350.000

ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც მოგება ხვდა, შეუძლია სურვილისამებრ, მოგებული ნივთის ნაცვლად ხელ ფულად მიიღოს მისი ღირებულება.

ლატარიის ბილეთებით ფულადი მოგების გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ მოგებული ნივთის ნაცვლად ფულის გაცემასაც აწარმოებენ შენახველი სალაროები.

მოგებული ნივთები მიმღებთა ეძლევათ ან ეგზავნებათ საკავშირო ორგანიზაციების მეშვეობით, ამასთან 10 მანეთზე მეტი ღირებულების მოგებას ეს ორგანიზაციები გასცემენ ლატარიის ბილეთის შემნახველი სალაროს მიერ შემოწმების შემდეგ.

ლატარიის ბილეთები, რომელთაც მოგება ხვდათ, შეიძლება წარმოადგინონ გასანაღდებლად 1962 წლის 30 ივნისამდე.

საერთაშორისო ფელეტონი, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

ბელგიის მთავრობა აქეგებს მობუტუელ მეამბოხეებს

ლაოსის ხალხი მხარს უჭერს სუვანა ფუმას მთავრობას

აღადგინეთ ჩვენი გათელილი უფლებები და თავისუფლება!— მოითხოვენ ამერიკელი მშრომელები

ამერიკის მხედრიონმა დაიწყო საშიში მოქმედება

მოითხოვენ უოლჯერის კომისიის დათხოვნას

ვაშინგტონი, 3 იანვარი, საკდესის კორესპონდენტი, ნ. სგათელიანი იუწყება:

„მიეცით ამერიკას თავისუფლება! დაითხოვეთ ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისია!“, „ამერიკის მასწავლებელთა ფედერაცია მოითხოვს კომისიის დათხოვნას“, „აღადგინეთ ჩვენი გათელილი უფლებები და თავისუფლება“ — ასეთი ლოზუნგებით ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, რომლებიც ვაშინგტონში ჩამოვიდნენ ნიუ-იორკიდან, ჩიკაგოდან, სან-ფრანცისკოდან, ლოსანჯელესიდან და ამერიკის სხვა რაიონებიდან, გუშინ მოაწყეს თეთრი სახლის პიკეტობა წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის დათხოვნის მრავალი მოთხოვნის მხარდასაჭერად,

შუადღისას ადგილობრივი დროით ასობით დემონსტრანტმა, რომელთა შორის ნახავდით ბევრ ახალგაზრდას, ამერიკის მეცნიერების წარმომადგენლებს, მღვდლებს, მასწავლებლებს, საქმიან ადამიანებს, დაიწყო თეთრი სახლის ორი საათის პიკეტობა. დემონსტრაცია მოაწყო ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის დათხოვნისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა.

ამერიკის დედაქალაქის რეაქციულმა ძალებმა სცადეს თეთრ სახლთან მოეწყოთ ეგრეთწოდებული „ლოიალური მოქალაქეების“ კონტრდემონსტრაცია იმ კომისიის დასაცავად, რომელსაც მეთაურობს უოლტერი (პენსილვანიის შტატი). ორ ათეულამდე არამზადა ვაშინგტონში მოქმედი ამერიკის ფაშისტური პარტიიდან, რომლებიც გამოწყობილი იყვნენ მოიერიშეთა ფორმით და მკლავზე ჰქონდათ ფაშისტური სვასტიკის გამოსახულება, აგრეთვე მივიდა თეთრ სახლთან. ჰიტლერის ამერიკელ მომდევრებს მოჰქონდათ პლაკატები ლოზუნგებით: „ფაშისტები მხარს უჭერენ ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიას“, „ღმერთო, დაიცავი კონგრესმენი უოლტერი“.

ფაშისტმა არამზადებმა ვერ ჩაშალეს ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დემონსტრაცია.

უფრო გვიან აქ გაიმართა მასობრივი საპროტესტო მიტინგი ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის არსებობის წინააღმდეგ. მიტინგზე, კერძოდ, გამოვიდა ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე დ-რი უილარდ ეპპაუზი, რომელმაც ეს არის ახლა მოიხადა ერთი წლის პატიმრობა ნიუ-ჰემპშირის შტატში იმისათვის, რომ უარი თქვა ეთანამშრომლა ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲖᲔ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲖᲔ. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ. ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ, ᲜᲐᲮᲔᲗ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲮᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲙᲕᲐᲛᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲠᲢᲚᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲪᲐ (ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲖᲔᲓᲐᲨᲘ). ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲙᲘ ᲕᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲞᲘᲙᲔᲢᲝᲑᲐ. ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ ᲐᲜᲢᲘᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲛᲐ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲛᲐ ᲯᲐᲚᲗᲑᲛᲐ ᲡᲪᲐᲓᲔᲡ თეთრ სახლთან მოეწყოთ ეგრეთწოდებული „ლოიალური მოქალაქეების“ კონტრდემონსტრაცია იმ კომისიის დასაცავად, რომელსაც მეთაურობს უოლტერი (პენსილვანიის შტატი). ორ ათეულამდე არამზადა ვაშინგტონში მოქმედი ამერიკის ფაშისტური პარტიიდან, რომლებიც გამოწყობილი იყვნენ მოიერიშეთა ფორმით და მკლავზე ჰქონდათ ფაშისტური სვასტიკის გამოსახულება, აგრეთვე მივიდა თეთრ სახლთან. ჰიტლერის ამერიკელ მომდევრებს მოჰქონდათ პლაკატები ლოზუნგებით: „ფაშისტები მხარს უჭერენ ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიას“, „ღმერთო, დაიცავი კონგრესმენი უოლტერი“.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲠᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲨᲚᲔᲡ ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დემონსტრაცია.

ᲣᲤᲠᲝ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲜᲢᲘᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲛᲘᲢᲘᲜ�გᲖᲔ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ Დ-ᲠᲘ ᲣᲘᲚᲐᲠᲓ ᲔᲠᲞᲐᲣᲖᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲨᲔᲜᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲘᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲚᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 2 იანვარი. (საკდესი). ლაოსის კანონიერი მთავრობის ჯარებმა პატეტ-ლაოს მებრძოლ ნაწილებთან ერთად მეამბოხეებისაგან გაათავისუფლეს პროვინციების დედაქალაქები ფონგ-სალი (ლაოსის ჩრდილოეთ ნაწილში) და სიენგ-კუანგი (ლაოსის აღმოსავლეთ ნაწილში).

ლაოსის კანონიერი მთავრობის რადიოსადგურს „ლაოსის ხმას“ მოჰყავს ამ რაიონებში მეამბოხეთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები.

მეამბოხე ოფიცერთა და ჯარისკაცთა უმრავლესობა სიენგ-კუანგში დანებდა მთავრობის ჯარებს. დანარჩენები სამხრეთის კენ გაიქცნენ.

ქალაქის მცხოვრებნი გამოვიდნენ ქუჩებში და გულთბილი შეხვედრა გაუმართეს მთავრობის ჯარებსა და პატეტ-ლაოს მებრძოლ ნაწილებს.

ამასთანავე ფონგ-სალის პროვინციაში მთავრობის ჯარებმა პატეტ-ლაოს მებრძოლ ნაწილებთან თანამოქმედებით გაათავისუფლეს პროვინციის დედაქალაქი, მეამბოხეთა ხელმძღვანელი მაიორი კხამსონი ტყვედ ჩაიგდეს.

22 დეკემბერს გენერალ ნოსავანის ამ აგენტმა ამბოხება მოაწყო პროვინციის დედაქალაქში და განაცხადა, რომ გამოვა პრინც სუვანა ფუმას კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ.

ქალაქ ფონგ-სალის განთავისუფლების შემდეგ პოდპოლკოვნიკმა კხამ უონმა, რომელიც მთავრობის ჯარებს სარდლობს ამ რაიონში, გამოაცხადა, რომ პროვინციაში შექმნილია კანონიერი ხელისუფლება, ერთგული იმ მთავრობისადმი, რომელსაც პრინცი სუვანა ფუმა მეთაურობს.

მან გამოაცხადა აგრეთვე, რომ თანამშრომლობს ნეო ლაო ხაკ სატის პარტიასთან, რათა ერთად განახორციელონ კანონიერი მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია მშვიდობის, ნეიტრალიტეტისა და ეროვნული მეგობრობის მიღწევა.

ქალაქ სიენგ-კუანგის განთავისუფლების შემდეგ ლაოსის სამეფო მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მიესალმება სიენგ-კუანგის შეიარაღებულ ძალებსა და მოსახლეობას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ამ დიდ გამარჯვების უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა აქვს“. იგი „მოწმობს მთავრობისა და პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების პატრიოტიზმს ამერიკის იმპერიალიზმის ლაჯების — ფუმი ნოსავან-ბუნ უმის მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ცხადყოფს იმას, რომ ლაოსის მთელი ხალხი ენდობა კანონიერ მთავრობას პრინც სუვანა ფუმას მეთაურობით და მზად არის დაეხმაროს მის შეიარაღებულ ძალებს გაწმინდონ ლაოსი მეამბოხეებისაგან.

ᲛᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲘ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲔᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 იანვარი. (საკდესი). „შეერთებული შტატების პოლიტიკა ლაოსში მკაცრ კრიტიკას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეების მხრივ, აგრეთვე კომუნისტების მხრივ“, — აცხადებს იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს სავარეოპოლიტიკური მიმომხილველი ნიუსომი.

ინგლისი და საფრანგეთი, აცხადებს იგი, მოითხოვენ ლაოსის სსტტიკ ნეიტრალიტეტს ჟენევის 1954 წლის შეთანხმების პირობების შესაბამისად, ინგლისისა და საფრანგეთის ამ პოზიციისაგან განსხვავებით, რომლებიც თანაუგრძნობენ სუვანა ფუმას, შეერთებული შტატები იმედს ამყარებენ მხოლოდ და მხოლოდ პრინც ბუნ უმზე, რომელიც შეეერთდა ფუმი ნოსავანს, შეერთებულმა შტატებმა განაცხადეს, რომ თუ ბუნ უმი ითხოვს დახმარებას სეატოს პაქტის პირობების საფუძველზე, ისინი „შეასრულებენ თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს“.

ᲡᲣᲕᲐᲜᲐ ᲤᲣᲛᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 2 იანვარი. (საკდესი), ლაოსის პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ 31 დეკემბერს კამბოჯაში განაცხადა, რომ იგი კვლავ არის ლაოსის სამეფოს მთავრობის კანონიერი მეთაური, იუწყება რა ამას, ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, რომ სუვანა ფუმამ დაგმო შეერთებული შტატების დახმარება ფუმი ნოსავანს-ბუნ უმის მეამბოხეებისადმი, რომლებიც ცდილობენ დაამხონ ლაოსის კანონიერი მთავრობა.

შეერთებული შტატები, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ, „ფიქრობენ, რომ შინაური კონფლიქტი ლაოსში დამთავრდება რამდენიმე თვის შემდეგ ძლიერი და მილიტარიზებული მთავრობის, ამ შემთხვევაში ბუნ-უმის „ფრონეთითი მთავრობის“ სასარგებლოდ. მაგრამ, განაგრძო მან, „ძმათა მკვლელი ომით დაქანცული ლაოსელი ხალხი არ დაემორჩილება რეჟიმს, რომელიც მას რეაქციულად მიაჩნია“.

ᲣᲚᲢᲠᲐᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 2 იანვარი, (საკდესი). პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ რეფერენდუმის წინ გაკტიურდნენ ულტრაკოლონიალისტური ელემენტები, რომლებსაც იერიში ძიაქვთ მთავრობის ალჟირული პოლიტიკის წინააღმდეგ უკიდურესად მემარჯვენე პოზიციებიდან.

ქალაქ ალჟირის ევროპულ მოსახლეობაში ავრცელებენ მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლებს.

ორანის დეპარტამენტში პერიოდულად მოქმედებს არალეგალური რადიოგადამცემი, რომელიც გადასცემს სამხედრო მარშებსა და მოწოდებებს მოსახლეობისადმი — იბრძოლოს „ფრანგული ალჟირისათვის“.

ბევრი მიმომხილველი შიშობს, რომ ალჟირში 6 იანვარს რეფერენდუმის დაწყებამ შეიძლება გამოიწვიოს „მღელვარე მოვლენები“.

ᲡᲣᲕᲐᲜᲐ ᲤᲣᲛᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 2 იანვარი. (საკდესი), ლაოსის პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ 31 დეკემბერს კამბოჯაში განაცხადა, რომ იგი კვლავ არის ლაოსის სამეფოს მთავრობის კანონიერი მეთაური, იუწყება რა ამას, ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, რომ სუვანა ფუმამ დაგმო შეერთებული შტატების დახმარება ფუმი ნოსავანს-ბუნ უმის მეამბოხეებისადმი, რომლებიც ცდილობენ დაამხონ ლაოსის კანონიერი მთავრობა.

შეერთებული შტატები, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ, „ფიქრობენ, რომ შინაური კონფლიქტი ლაოსში დამთავრდება რამდენიმე თვის შემდეგ ძლიერი და მილიტარიზებული მთავრობის, ამ შემთხვევაში ბუნ-უმის „ფრონეთითი მთავრობის“ სასარგებლოდ. მაგრამ, განაგრძო მან, „ძმათა მკვლელი ომით დაქანცული ლაოსელი ხალხი არ დაემორჩილება რეჟიმს, რომელიც მას რეაქციულად მიაჩნია“.

ᲡᲔᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲘ, 2 იანვარი. (საკდესი). დღეს ბანგკოკში გაიმართა სეატოს საბჭოს საგანგებო სესია, რომელიც მოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით. სესიამ განიხილა მდგომარეობა ლაოსში. სხდომის შემდეგ, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, არავითარი ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა.

ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ? ᲐᲠᲐ, ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 იანვარი, (საკდესი). სამხრეთ ჩინეთის ზღვაში კვლავ გაიგზავნა ამერიკის სამხედრო ხომალდების შენაერთი.

შენაერთში შედიან ავიამზიდები „ლექსინგტონი“, „ბენინგტონი“, სადესანტო გემები და რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი. ამას იუწყება გაზეთი „დეილი ნიუსი“. მისი სიტყვით, შენაერთი აწარმოებს „მანევრებს რაიონში, საიდანაც იგი შეძლებს მალე მიაღწიოს ლაოსს“.

ეხება რა ოფიციალურ ვერსიას, რომლის მიხედვით შენაერთი „მანევრებისათვის“ გადაჯავეთ, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი შენიშნავს: „მანევრები“ ტრადიციული ფრაზაა, რომელსაც პენტაგონი იყენებს ამერიკის ჯარების გაგზავნის დროს ამა თუ იმ „შფოთიან რაიონში“. სწორედ ასეთივე ფრაზა გამოიყენეს 1958 წელს, როცა ლიბანის ნაპირებისაკენ გაიგზავნა ამერიკის მე-6 ფლოტის შენაერთი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲘ — ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 2 იანვარი. (საკდესი). 26 იანვარს ღიონში დაიწყება სასამართლო პროცესი, რომელიც გაარჩევს საბჭოთა მწერლის ანატოლ კუზნეცოვის სარჩელს ლონის საარქიეპისკოპოსოს გამომცემლის ემანუელ ვიტისადმი, რომელმაც გამოუშვა წიგნი „წითელი ვარსკვლავი ნისლში“, ეს წიგნი წარმოადგენს კუზნეცოვის ცნობილი რომანის „ლეგენდის გაგრძელების“ სრულიად დამამინჯებულ და შემოკლებულ თარგმანს. რომანის „მთარგმნელმა“ ვინმე პოლ შადეიმ — ნაწარმოების თარგმანის სახით შეეთითხა მისტიკური მსჯელობით აღსავსე ანტისაბჭოთა მონაკოური, რომელიც სავსებით ამახინჯებს საბჭოთა მწერლის რომანის შინაარსსა და სულისკვეთებას.

კუზნეცოვის ადვოკატები გარსონი და ამბრე მოითხოვენ ამ ანტისაბჭოთა ნაყალბევის კონფისკაციასა და ზარალის ანაზღაურებას.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲐᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 2 იანვარი, (საკდესი), დღეს დილით პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა მოიწვია ახალი თათბირი ლაოსის საკითხზე. თათბირს ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხში მერჩენტი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დუგლასი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ალენ დალესი და შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე გენერალი ლემნიტცერი.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრესა კვლავ განაგრძობს პროვოკაციულ ხმაურს იმის შესახებ, რომ ვითომდა „ლაოსში განხორციელდა შეჭრა ჩრდილოეთიდან“, თუმცა ამ პრესის ყველაზე უპასუხისმგებლო ორგანოებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ მათ „არა აქვთ არავითარი ფაქტი“, რათა დაადასტურონ ასეთი შეჭრა.

ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატების. მხედრიონმა დაიწყო საშიში მოქმედება იმისათვის, რომ გაფართოოს ამერიკის ინტერვენცია ლაოსში, რომელიც ისეთივე ... ...

სიცოცხლის დიდი სიმღერა

გიორგი ლეონიძის რჩეულის გამოსვლის გამო

მკითხველთა წიგნის თაროებს შეემატა მნიშვნელოვანი განძი, პოეტური შემოქმედებით მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნი. მხედველობაში მაქვს გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლეონიძის რჩეული. გიორგი ლეონიძის სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. იგი დღეს ცნობილია როგორც პოეტური სიტყვის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი, როგორც დაუმცხრალი მომღეროლი ადამიანის კეთილშობილი გულისა, ბუნების სილამაზისა, სიცოცხლისა.

ამ წიგნში შეტანილია, მართალია არასრულად, მაგრამ უმეტესობა მაინც, იმ ლექსებისა და პოემებისა, რომლებიც განსაზღვრავენ გ. ლეონიძის პოეზიის თვისებებს. ამ ლექსებსა და პოემებმა გაუკაფეს პოეტს სიყვარულის გზა მკითხველებისაკენ.

წიგნს შემოხვევით როდი აქვს წამძღვარებული ავტორის ხელუფრად ერთ-ერთი ლექსი: „მხოლოდ შენ ძინდა ჩემს ჩონგურს უკვდავი სული მობერო, ჩემო ცავ, ჩემო ქვეყანავ, ჩემო გულგაუყოფელო“. ამ მოკვეთილ პოეტურ ფრაზაში, რომლითაც ავტორი მიმართავს თავის ქვეყანას, თავის ცას, დასურათხატებულია გ. ლეონიძის შემოქმედების არსი. სამშობლო ქვეყნისა და ცის უკვდავი სული „მობერვა“ იგრძნობა მთელ მის პოეზიაში, იგრძნობა „გულგაუყოფლობა“, სულიერი ერთიანობა პოეტსა და სამშობლოს შორის.

ლეონიძის პოეზიის თემატიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მთავარი, რასაც მისი შემოქმედება ემყარება — ეს არის მშობლიური ხალხის ბედი, ამ ხალხის გმირული წარსული, აწმყო და მომავალი. გ. ლეონიძის პოეზია ხალხის გულია შეპრილი. პოეტი ბეკეცად არის დაკავშირებული ქართული სიტყვის სტიქიასთან, იგი ბოლიანად ამ სტიქიაშია მოქცეული. მას უყვარს ჩრა იმდენად გაბრიალებული, რაფინირებული, რამდენადაც დაკორძებული, ხორკლიანი სიტყვა. ბისი პოეტური სიტყვა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი უღრან ტყეებსა და ღაღარა მინდვრებში იყოს აღმოცენებული, ქარიშხლისა და გამჭვირვალე ჰაერში იყოს ნაზარდი, ყველაფერთა ნექტარითა და მარილით იყოს ნასაზრდოები. რა გულწრფელი, მართალია პოეტი, როცა ის ქართულ სიტყვას მიმართავს:

პირველ მოწყეტილ იების დღიდან
მე ვარ დამწყვარი შენი მსახური;
შენნ თაფლი. და მარილი მწარდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.

დიდება შენდა, ჩემო ნათელო, — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!

სიტყვაა მისი მოიერიშე დროსა, სიტყვა, რომელსაც პოეტი ისე კრეფს ხალხმა, როგორც „ქალები კრეფენ ყანის ნამკალში პურის თავთავებს“.

თავის საწყისებში ჯეშმარიტად ხალხეურია გ. ლეონიძის პოეზია, იგი გამოხატავს ხალხის ოცნებას, ფიქრს, პატრიოტულ სულისკვეთებას, დაუმცხრალ სწრაფვას ნათელი ბედნიერებისაკენ. საკმაოდ სწორია პოეტის ოსურება, როცა ამბობს: „არა მოყვასი, არა ჩემი ძმა, მე მხოლოდ ხალხი მოიშველებია“. ამ ხალხის გმირული სული არის პოეტს შთამაგონებელი, მისი პოეზიის მასაზრდოებელი. პოეტის თავური გმირები არიან: ქართველი მეზვერე, გეთნილდეა, მებალე, ის ხალხი, რომელიც ქმნის ქვეყნის დოვლათსა და სულიერ სიმდიდრეს.

საყურადღებოა, რომ გ. ლეონიძე ვერ ეგუება მკრთალ ფერებს, ღბილ ხმას. მისი პეიზაჟი მზიურია, გაბრწყინებული. მას უყვარს „ფილის ცა, ზღვა და ბალახი, მიწა მერცხლის ფრთით შემოხაზული“. მისი პოეტური გეული მუდმივ დუღილშია, მუდმივ ფინგავ ძალგავ ძალეკარებამა. ასეთია მისი შემოქმედებითი სტიქია. ჩვენი ხალხის წარსულს პოეტი ხედავს სწორედ სისხლსა და ფერფლში. ის არის ამ წარსულის ნათელმსედველი. პოეტი ამ წარსულის მეზვერეული როდია ბოლოდ. არა, ის არის, მისი მონაწილე, მისი მომსწრე — ისე მძაფრად, უშეალოდ და ტრაგიკულად განიცდის ამბებს, რომლებიც ჩვენს ხალხს გადახდენია თავს. გავიხსენოთ თუნდაც ძღელეარე და რომანტიკული ფრთოო